ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 იანვარი, კვირა, 1985 წ.
№ 14 (7825) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხვალ ერთი წელი სრულდება, რაც საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ იმსჯელა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების საკითხზე.

წინსვლისა და გარდაქმნების კურსით

1984 წლის 21 იანვარი განსაკუთრებით გამორჩეულ თარიღად შევა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მატიანეში. საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას, რომელიც ამ დღეს გაიმართა, ღრმა ანალიზისა და მკაფიოდ გამოკვეთილი სამომავლო ამოცანების გარეშე არ დაუტოვებია ფიზკულტურისა და სპორტის არც ერთი მნიშვნელოვანი უბანი.

აქტივის კრების შემდეგ ერთი წელი გავიდა. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე, რა სასიკეთო ძვრები მოხდა, როგორ უპასუხებს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ცალკეული რგოლი სადღეისო ამოცანებს, რას ვერ მივადევნეთ თვალყური და რა დაგვრჩა გასაკეთებელი? — ასეთია ალბათ იმ ძირითად საკითხთა წრე, რომელთაც განვლილ ერთ წელიწადში გაწეული მუშაობის შედეგებმა უნდა გასცეს პასუხი. თქმა არ უნდა, წინსვლა თვალსაჩინოა, ამას რომ ვამბობთ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ცალკეული სამინისტროების, უწყებების, თვით სპორტული საზოგადოებების დამოკიდებულება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასობრიობისადმი, ზრუნვა ამ მუშაობაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩასაბმელად.

ჩვენი გაზეთი მუდამ ცდილობდა თავის ფურცლებზე აესახა გარდაქმნების პროცესები. თუმცა, ცხადია, სათქმელი და ფართო სამსჯავროზე გამოსატანი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის. ადგილებზე ბევრი საკითხის მოგვარებას დრო სჭირდებოდა, ახლა კი, როცა აქტივის კრების შემდეგ სრული ერთი წელი გავიდა, ჩვენც უფლება გვაქვს მთელი სისრულითა და პასუხისმგებლობით განვსაჯოთ გაწეული მუშაობის შედეგები, წარმოვაჩინოთ, განვაზოგადოთ ის, რაც გაკეთდა, ამავე დროს, ისიც ვაცნობოთ საზოგადოებრიობას, რა ვერ გავაკეთეთ და ვისი მიზეზით. ამგვარი პოზიცია თვით აქტივის კრების სულისკვეთებიდან გამომდინარეობს და რედაქცია მას განუხრელად დაიცავს თავის საქმიანობაში.

დასამალი რაა: ჯერ კიდევ ვერ გააუმჯობესეს მუშაობა სპორტულმა საზოგადოებებმა, განსაკუთრებით ნელია მასობრივი სპორტის დანერგვის ტემპი. სადღეისო მოთხოვნათა დონეს აშკარად ჩამორჩება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში. მიუტევებელია, რომ სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის დატვირთული სპორტული ბაზები. კვლავაც დიდი მუშაობაა საჭირო ბავშვთა და ეგრეთ წოდებული დიდი სპორტის შემდგომი წინსვლისათვის. ჩვენი სპორტული მოძრაობის ამ ორ უმნიშვნელოვანეს რგოლს შორის ხიდის გასადებად ბოლო ხანებში მართლაც მოხდა ხელშესახები ძვრები, მაგრამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრისაგან ჯერ მაინც შორს ვართ. დიდ შესაძლებლობებს ვკარგავთ რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამო. სპორტის ბევრ სახეობაში, განსაკუთრებით კი მძლეოსნობაში და ცურვაში, ნაკლებად ჩანს ორგანიზაციული გარდატეხისთვის ზრუნვის შედეგები.

აქტივის კრების რეზოლუცია, კრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ამხ. ედუარდ შევარდნაძის** მიერ წარმოთქმული სიტყვა ყოველდღიური სახელმძღვანელო დოკუმენტია ყველასთვის, ვისაც ერის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ქართული სპორტის დღევანდელი და ხვალინდელი დღე აღელვებს.

იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა სისტემატურად იყოს ინფორმირებული გადასაჭრელი ამოცანების შესახებ, რედაქციამ გადაწყვიტა ფართოდ გააშუქოს აქტივის კრებაზე წამოჭრილი თითოეული საკითხი თუ პრობლემა. ეს იქნება თავისებური „დაუსწრებელი სემინარი", რომელშიც, იმედი გვაქვს, მკითხველთა ფართო საზოგადოებაც მიიღებს მონაწილეობას.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ შემუშავდა 1984-1985 წლების ძირითად ღონისძიებათა გეგმა, რომლის მიზანია რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარება. **აქტივის კრების შემდეგ მიღწეულ წარმატებებზე და გადასაჭრელ პრობლემებზე იქნება საუბარი რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრებაზე, რომელიც სულ მალე თბილისში ჩატარდება საქართველოს სპორტკომიტეტის თაოსნობით.**

ფიზკულტურა და სპორტი ჩვენში ცხოვრების საერთო წინსვლის კვალდაკვალ ვითარდება. ასეთ პირობებში თუ რა ამოცანებს უნდა ისახავდეს ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობა **ამხ. ედუარდ შევარდნაძემ** ხაზგასმით ჩამოაყალიბა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „უკეთ უნდა დავუკავშიროთ მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება სოციალური ამოცანების გადაჭრას, ჩვენი პარტიის ვრცელი სოციალური პროგრამის განხორციელებას". ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ამ საპროგრამო მითითების განუხრელად შესასრულებლად.

ბალავერი

ასე იწყება

პირველი ნაცნობობა სპორტულ სამყაროსთან, პირველი ნაბიჯები დიდი სპორტის მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე... ეს ბიჭები ახლახან მოვიდნენ სპორტულ დარბაზში, მოვიდნენ და მორიდებით მოიზომეს საჭიდაო ჩოხა, მოკრივის ხელთათმანი, თედიაშვილობაზე და კვაჭაძეობაზე ოცნებას კი კარგა ხანია ატარებენ გულში. სპორტის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელმა სიყვარულმაც მოიყვანა ისინი თბილისის განათლების სამმართველოს სპორტულ სკოლაში. წინ ვრცელი ასპარეზია, ვარჯიშის, შრომის, საინტერესო შეხვედრებისა და შეჯიბრებების წლები; ამ გზასავალზე სანდახან იმედგაცრუებაც იქნება, წარუმატებლობაც. მაგრამ უთუოდ იქნება გამარჯვებები, მიზნის ხორცშესხმით გამოწვეული სიხარული. ოღონდ, რა თქმა უნდა, სპორტისთვის, საქმისთვის უნდა გაიღო ყველაფერი. ეს გზა გამოიარა ყველა ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა, ამ გზას ადგანან ეს მეოცნებე ბიჭებიც.

კარგი ნიშანია

ოთარ მჭედლიშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა

მოსკოვი, 19 იანვარი. ველოსპორტში ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს გათამაშდა მედლების კიდევ ორი კომპლექტი — ვაჟთა სპრინტში და ჯგუფურ რბოლაში.

როგორც ვიუწყებოდით, სპრინტერთა რბოლის გადამწყვეტ შეჯიბრებებში ავადმყოფობის გამო არ მონაწილეობდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სერგეი კოპილოვი. ამიტომ ნახევარფინალში მხოლოდ ახალგაზრდები დაწყვილდნენ: ნიკოლოზ კოვში, იგორ შჩელინსკი, ალექსი სოროკინი და ოთარ მჭედლიშვილი. საინტერესო ბრძოლის შემდეგ ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა იუნიორთა შორის, 19 წლის მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა და მსოფლიო ექსრეკორდსმენმა 18 წლის თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა.

გადამწყვეტი რბოლა პირველი ადგილისათვის უაღრესად მძაფრი გამოდგა. ოთარ მჭედლიშვილმა პირველ სერიაში აზრიანად წარმართა ბრძოლა და ფინიშის სწორზე ადრე გავიდა. გამარჯვება მას თითქმის გაალდებული ჰქონდა, მაგრამ კოვშმა ისარგებლა მეორე პოზიციის უპირატესობით და ზედ ფინიშზე გადაუსწრო მეტოქეს. კოვშმა მოიგო მეორე ცდაც და პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. მჭედლიშვილს ვერცხლის მედალი გადაეცა. ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა კუიბიშეველმა ალექსი სოროკინმა, რომელმაც პრინციპული ბრძოლა მოუგო იგორ შჩელინსკის.

მჭედლიშვილის წარმატება ამ ჩემპიონატში ნიშანდობლივია. ახალგაზრდა ველოსიპედისტი სეზონის დასაწყისშივე საკმაოდ მაღალ სისწრაფეს ანვითარებს (გაიხსენეთ გიტში დაკავებული V ადგილიც), რაც იმის ნიშანია, რომ მომდევნო შეჯიბრებებში იგი გააუმჯობესებს შედეგებს.

ჯგუფურ რბოლაში 150 წრეზე (30 საშუალედო ფინიშით) ქულების უკეთესი ჯამით (54) გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვიქტორ მანაკოვმა. მეორე ადგილზე გავიდა კუიბიშეველი მარატ განეევი — 38 ქულა, მესამეზე — ფრუნზელი სერგეი ვოკუნი — 29.

ჩემპიონატის გვირგვინი იყო ახალი მსოფლიო რეკორდი 100 კილომეტრზე სალიდერო რბოლაში. იგი დაამყარეს ალექსანდრე რომანოვმა და ალექსანდრე შოპინმა (ლიდერი) — 1:08.07,816. რბოლის პროცესში მათ გააუმჯობესეს, აგრეთვე, მსოფლიო მიღწევა 50 კილომეტრზე — 33.55,106.

სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ასპარეზობა — მსოფლიო ჩემპიონატი აგვისტოში იტალიის რომელიმე ქალაქში გაიმართება. საბჭოთა სპორტსმენების მთავარი მიზანია ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლა.

* * *

სურათზე: საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სპრინტერი ოთარ მჭედლიშვილი, რომელმაც კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

„...როგორ შეიძლება სერიოზულად განაცხადო პრეტენზია სპარტაკიადასა და სხვა კომპლექსურ შეჯიბრებებში გამარჯვებაზე, როცა ასეთი სავალალო მდგომარეობაა, მაგალითად, მძლეოსნობაში? იგი ხომ საერთო ფიზიკური მომზადების და მთლიანად სპორტის საფუძველია. ჩვენში სპორტის ამ სახეობაში მუშაობს 400-ზე მეტი მწვრთნელი, აშენებულია მძლეოსნობის ორი პირველხარისხოვანი მანეჟი, ჯეროვან უკუგებას კი ვერ მივაღწიეთ.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აქ მთლიანად მიშვებულია საქმე. არ არის ელემენტარული წესრიგი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციაში. უხეშად ირღვევა შრომის დისციპლინა, არასასურველი ფორმები მიიღო შეთავსებამ მწვრთნელების მუშაობაში. შეინიშნება წამატებები სპორტსმენთა მომზადებაში, — ეს სპორტის ოსტატობის კანდიდატებსაც ეხებათ. ამის შედეგად უქმად იხარჯება უზარმაზარი სახელმწიფო სახსრები".

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან.

გაღმით რომ შეედავო, გამოღმით შეგრჩება?

წესით და რიგით, იმ ერთ კონკრეტულ ფაქტს, რომელსაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შევეხეთ (იხილეთ „ლელო", 13 იანვარი, 1985 წ.), ასე ჩქარა აღარ უნდა დავბრუნებოდით. მაგრამ დავუბრუნდით კი. საქმე ის გახლავთ, რომ გამოქვეყნდა თუ არა მამხილებელი წერილი, თბილისის განათლების სამმართველოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა მამია ტუღუშმა და სკოლის უფროსმა მეთოდისტმა იგორ მინეევმა იმავე დილით მოგვაკითხეს რედაქციაში. სიტყვიერ ახსნა-განმარტებას დაწერილიც მოაყოლეს და მართალი გითხრათ, შევწუხდით. — ხალხს დაუმსახურებლად რატომ უნდა ატკინო გული. მინეევი მისივე ხელმძღვანელის თანდასწრებით ყველაფერში თავს იმართლებდა, არაობიექტურობაში სდებდა ბრალს რეიდის მონაწილეებს. რედაქციიდან რომ გავისტუმრეთ, დირექტორმა და მეთოდისტმა ზემდგომ ინსტანციაშიც შეიტანეს ჩვენთან დატოვებული პროტესტის ასლი.

ბაზას ვნახეთ, ბაზიერნის

მოგეხსენებათ, შეცდომებისაგან დაზღვეული არავინაა და ჩვენც შევფიქრიანდით: იქნებ მართლაც ავჩქარდით?.. თუმცა მინეევის საჩივარი გულდასმით რომ ჩავიკითხეთ, ეჭვი, პირიქით, მომჩივანის ობიექტურობაში შევიტანეთ. გაღმა შეედავეო, ხომ გაგიგონიათ, მინეევმა თავის გასამართლებელი არგუმენტები რომ ჩამოთვალა, მერე ჭკუის სწავლება დაგვიწყო, რამდენიმე გონივრული რჩევა შემოგვთავაზა: შემოწმება ისე კი არ უნდა, თქვენ რომ რამდენიმე წუთში ჩაატარეთ, უნდა მობრძანდეთ, დასხდეთ და მთელი მეცადინეობის ქრონომეტრაჟი გააკეთოთო. ჩვენი მხრიდან უგულისყურობა იქნებოდა, სასარგებლო რჩევისთვის ყური რომ არ დაგვეგდო. მეორე დღეს ვერ მოვიცალეთ და მესამე დღეს ისევ შევიარეთ მანეჟში. ზუსტად ოთხი საათი იყო, ის დრო, რომელსაც მინეევი თავად ასახელებს: მეცადინეობას ოთხ საათზე ვიწყებო. ჩვენ კი, თურმე, მაშინ მივსულვართ, როცა გაკვეთილი დამთავრებული ჰქონდა. ახლა კარგა ხანს ველოდეთ, ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა და ნიშნისმოგებით გამოგვიცხადა — დღეს მეცადინეობა ხუთის ნახევარზე მაქვსო. სხვა რა გზა იყო, დავუჯერეთ. ოღონდ პირობა ჩამოვართვით, რომ თუ სხვა დროს ექვს საათზე დააპირებს მეცადინეობის დაწყებას, აუცილებლად წინასწარ გაგვაფრთხილოს. როგორ ფიქრობთ, ჩატარდა იმ დღეს მეცადინეობა? არა. მხოლოდ ორი ბავშვი გამოცხადდა სავარჯიშოდ და მწვრთნელი იძულებული გახდა ისინიც შინ გაეშვა.

მინეევმა თავი მაინც იმართლა — ჯგუფში 96-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები მყავს და ახლა გამახსენდა, რომ დღეს იმ სკოლაში რაღაც ღონისძიება ტარდება დაწყებით სამხედრო მომზადებაშიო. მეორე დილით სკოლის ხელმძღვანელებიც შევაწუხეთ და გამოირკვა, რომ წინა დღეს იქ არავითარი ღონისძიება არ ჩატარებულა. მინეევი არც იმაში გამოდგა მართალი, რომ გვიმტკიცებდა, ფრენბურთს წელიწადში ერთხელ ვთამაშობთო. თურმე ამ ჯგუფის გატაცების საგანი მარტო ფრენბურთი არ ყოფილა — ხელბურთიც ძალიან ჰყვარებიათ. მანეჟის ადმინისტრატორს, მეთოდისტს, დირექტორს არაერთხელ გაუფრთხილებიათ მწვრთნელი, მანეჟში ბურთს ნუ თამაშობთო, მაგრამ ამაოდ.

მინეევი წერს: „რეიდის მონაწილენი დაინტერესდნენ, რა გააკეთა იმ დღეს „ფრენბურთელთა" ჯგუფმა? რომ დაინტერესებულიყვნენ, სამუშაო გეგმიდან შეიტყობდნენ, რომ მეცადინეობა, რომელიც დაიწყო 16 საათზე, იყო ძალიან ინტენსიური და გაგრძელდა ორსაათნახევარს". ამ შეცდომის გამოსწორებაც ვცადეთ, მაგრამ, როგორც ითქვა, იმ დღეს მინეევს მეცადინეობა საერთოდ ჩაეშალა. ისე, სიმართლე გითხრათ, სულაც არ იყო ჩვენი საქმე სასწავლო პროცესის გაანალიზება. ეს, პირველ ყოვლისა, თვით მძლეოსნობის სპორტული სკოლის ხელმძღვანელებისა და მათ შორის სკოლის უფროსი მეთოდისტის მინეევის მოვალეობაა. თუ როგორ ასრულებს მინეევი ამ მოვალეობას, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი ისევ მოვიტანთ ერთ ამონაწერს მინეევის წერილიდან: **„გაოცებას იწვევს კიდევ ერთი რამ. თუ რეიდის ამოცანა იყო მანეჟის მდგომარეობის შემოწმება, ამის გაკეთება შეიძლებოდა ნებისმიერ დროს, მაგრამ თუ რეიდის მონაწილეებს სურდათ მძლეოსნებით მანეჟის დატვირთვის დადგენა, მაშინ სხვა რომ არა ვთქვათ რა, დრო ძალიან უხეიროდ იყო შერჩეული. მანეჟის შესასვლელთან კიდია მძლეოსნობის მეცადინეობის ცხრილი, სადაც გასაგებად წერია, რომ ბოლო ჯგუფი მეცადინეობას ამთავრებს 18-18 ს. 30 წუთზე. ასე რომ რეიდი საღამოს ცხრა საათზე რომ ჩატარებულიყო, ალბათ მანეჟში ველარავის ნახავდითო..."** როგორ შევარჩიეთ დრო და რა გვქონდა მიზნად, მინეევთან ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ახლა ამისი ახსნით მკითხველს ველარ შევაწუხებთ. ეს ერთხელ უკვე დაიწერა გაზეთში. მაგრამ ცხრილი ვერ დაინახეთო, ასე რომ გვედავება, ამაში არ არის მართალი. ცხრილი იმ საღამოს მართლა ვეძებეთ და ვერსად მივაგენით. ახლა მინეევს ვთხოვეთ ეჩვენებინა, სად არის ეს ცხრილი გამოკრული. აი, აქ იყო ყოველთვისო, მოგვიგო. ბოლოს, როგორ გგონიათ, რა გამოირკვა? მანეჟის ადმინისტრაციას ცხრილი სამი თვის წინ ჩამოუხსნია რემონტის გამო და მეთოდურ კაბინეტში გადაუტანია. ასე განუმარტეს მინეევსაც და, როგორც იქნა., დააჯერეს.

ზემოთ გაკვრით ვთქვით, რომ ქაღალდებსა და სამუშაო გეგმებში ქექვა ჩვენი მიზანი არ იყო. სადამდე მიგვიყვანა სპორტის ზოგიერთ სახეობაში გეგმებითა და კარგად გაფორმებული დოკუმენტაციით თავის მოწონებამ, ყველას კარგად მოეხსენება. ქაღალდსა და სამუშაო გეგმას რომ დასჯერდეს შემმოწმებელი, მაშინ ისიც უნდა ირწმუნოს, რომ რესპუბლიკაში ჩინებულადაა მძლეოსნობის საქმე და მოსახლეობის სულადობაზე გაანგარიშებით ალბათ ჩვენთან ყველაზე მეტი მწვრთნელია მძლეოსნობაში.

მინეევი შემოწმების მეთოდების ზემოხსენებული ვარიანტებით არ კმაყოფილდება და, რათა მომავალში „შეცდომები არ დავუშვათ", რჩევას განაგრძობს: **„კატეგორიულად უნდა აიკრძალოს „ხუთწუთიანი" შემოწმებები. მაგრამ თუ საჭიროა რეიდის ჩატარება, ჩავატაროთ იგი სერიოზულად, ქრონომეტრაჟით მთელ გაკვეთილზე და არა ფრაგმენტულად. გავითვალისწინოთ დატვირთვის შეფარდება ასაკთან და ჯგუფის მომზადების დონესთან, საწვრთნელი პროცესის პერიოდთან, გაკვეთილის კონკრეტულ მიზანთან, შეჯიბრებისთვის მზადების მოთხოვნებთან. მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს რამდენად სწორად წარმართავს მწვრთნელი თავის საქმიანობას".** კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებთ მინეევს მითითებისთვის და, თუ ისევ არ გვიწყენს, აქვე გვინდა ვკითხოთ: თვითონ, როგორც მწვრთნელი, როგორ ხელმძღვანელობს პრაქტიკულ მუშაობაში ხსენებული დებულებებით და, თუ ხელმძღვანელობს, რამდენი სპორტსმენი აღუზარდა რესპუბლიკის ნაკრებს რამდენიმე წლის მუშაობის მანძილზე? როგორც გამოირკვა, არც ერთი. ნება გვიბოძეთ ამის შემდეგ ეჭვიც აღარ შევიტანოთ იმაში, რომ მინეევის ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით მოხიბლულა სპორტული სკოლის ხელმძღვანელობა.

ისე, მართლაც საოცარია: ზოგიერთს ჰგონია კრიტიკა გაზეთს სჭირდება და არა იმ საქმეს, ვისაც ეს კრიტიკა ეხება. აი საქმეზე რომ დაფიქრებულიყვნენ, მაშინ კი მიაღწევდა გაზეთის გამოსვლა მიზანს, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი" — დიდი და პატარა თავის მართლებას იწყებს. დაგვერწმუნეთ, არც ჩვენთვისაა სასიამოვნო ვინმეს უპასუხისმგებლობის საჯაროდ მხილება, მაგრამ საქმე, ქართული სპორტის ინტერესები მეტ დახანებას ველარ ითმენს. დროა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, თორემ რა გამოდის, რესპუბლიკის ერთ-ერთი ლონიერი მძლეოსნური სკოლა ჩაიკეტა თავის ნაჭუჭში, ყველაფერი ქაღალდზე მოაგვარეს და უფროსმა მეთოდისტმაც ირწმუნა, რომ „საუკეთესო სპეციალისტია" (ეს სიტყვები თავად მინეევს ეკუთვნის) რესპუბლიკაში.

საერთოდ, საკითხავია: ნუთუ არ დადგა დრო, რომ ყოველი ადამიანი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად უძღვებოდეს და საყვედურს არ იმსახურებდეს? რეიდიდან მეორედ დაბრუნებისას ჩვენც ვწუხდით, რომ გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის უარეს ფაქტებს წავაწყდით, ვწუხდით, რომ კიდევ ერთხელ მოგვიწევდა მამხილებელი წერილის გამოქვეყნება. ამ დროს ჩვენმა ერთმა კოლეგამ გულისტკივილით თქვა: უბედურება ისაა, რომ მწვრთნელს სჭირდება შემოწმებაო. მართლაც, უბედურებაა და სირცხვილია ამოწმებდე იმ ხალხის საქმიანობას, ვინც ყველაზე ავტორიტეტული პროფესიის — პედაგოგიკის წარმომადგენელია, ვისაც თაობის ჰარმონიული აღზრდა აბარია და ვის შრომა-გარჯაზეც დამოკიდებულია ქართული სპორტის სახელი და დიდება.

იმ დღეს მანეჟში მომეცადინე სხვა ჯგუფსაც გადავავლეთ თვალი. ამავე სკოლის მწვრთნელია ვლადიმერ ხახვიაშვილი. ერთხანს კი ვხედავდით, მანეჟის შესასვლელთან ტრიალებდა, მაგრამ, როგორც კი შეიტყო, რომ რედაქციიდან ვიყავით მისული, უმალვე გაეცალა იქაურობას, ეტყობა, მიხვდა, სამეცადინოდ შესვლა არ ღირსო. ვიცით, შეიძლება ხვალ ხახვიაშვილმა მოგვაკითხოს რედაქციაში და გამოაცხადოს: როგორ ახსენეთ გაზეთში ჩემი გვარი, იმ დღეს კროსი მქონდა დაგეგმილი და ბავშვები კუს ტბაზე წავიყვანე სავარჯიშოდო. ჩვენ წინდაწინ გვაქვს მომზადებული პასუხი — იმ დღეს ცხრილით მანეჟში უნდა ყოფილიყო ხახვიაშვილი და, თუ კროსი ჰქონდა, სულ ერთია, ჟურნალში უნდა მოეწერა ხელი, იქვე აღენიშნა მეცადინეობაზე მოსული ბავშვების რაოდენობაც, რაც მან არ გააკეთა. იმ დღეს სავარჯიშოდ საერთოდ არ გამოცხადდა ამ სკოლის კიდევ ერთი მწვრთნელი, ჩეკუშკინი. ჩვენ უკვე კარგად ვიცნობთ ამ სკოლის მწვრთნელთა ხასიათს — თუ მეცადინეობაზე ვერ ნახავთ, ათას მიზეზს მოიდებენ. ჰოდა, ჩეკუშკინს მერე რომ არ ეთქვა, თქვენ ვაკეში წახვედით, მე კი ლენინის სახელობის სტადიონის ან პროფკავშირის მძლეოსნობის სასახლის მანეჟში ვიყავიო, ავდექით და ორივე ბაზას ვეწვიეთ. მაგრამ ამაოდ, კვალსაც ვერსად მივაგენით. კვალს რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს რეგისტრაციის ჟურნალიც, სადაც მეცადინეობის ჩატარება და დამსწრეთა რაოდენობა აღირიცხება. მძლეოსნობის სასახლის რეგისტრაციის ჟურნალში იმ დღეს საერთოდ არ იყო ჩეკუშკინის გვარი შეტანილი. ლენინის სტადიონის მანეჟში კი ასეთი ჟურნალი საერთოდ არა აქვთ, მაგრამ მწვრთნელებმა დაგვიდასტურეს — დღეს მისთვის თვალი არ მოგვიკრავსო. ვფიქრობთ, სკოლის ხელმძღვანელობა მიაგნებს მის კვალს (ხელფასის დღეს მაინც) და დაწვრილებით გამოჰკითხავს, სად იყო, სად ჩაატარა ცხრილით გათვალისწინებული მეცადინეობა ჩეკუშკინმა 1985 წლის 16 იანვარს.

სიტყვამ მოიტანა და ჩეკუშკინის ძებნისას კვალმა კიდევ ერთ უსიამოვნო ფაქტამდე მიგვიყვანა. მძლეოსნობის სასახლეში საგანგებო ჟურნალია. იგი მანეჟის დატვირთვის თავისებური სარკეა. დღის ბოლოს შიგ რომ ჩაიხედავ კაცი, უნდა დაასკვნა, იმ დღეს რამდენ საათს იყო დატვირთული მანეჟი, რამდენი ჯგუფის მეცადინეობა ჩატარდა, რამდენი სპორტსმენი შევიდა სამეცადინოდ და ა. შ. ვინ უყურებს ჟურნალს, ვინ აქცევს ყურადღებას, ვინ როდის შედის და გამოდის, მწვრთნელი, რამდენიც უნდა, იმდენ მომეცადინეს ჩაწერს ან სულაც არ ჩაწერს, რათა შემმოწმებელს გზა-კვალი აუბნიოს. მაგრამ მაინც, მოდით, ეს ჟურნალი იმ დღის საქმიანობის სარკედ მივიჩნოთ. რას დავინახავთ მასში? **მთელი დღის განმავლობაში მანეჟში შევიდა 14 მძლეოსნობის მწვრთნელი და 41 მძლეოსანი. ესაა და ეს. აი თურმე რის იმედად ვართ, ჩვენ კი „სპორტის დედოფლის" აღორძინებაზე ვოცნებობთ.**

დაბოლოს, დავინტერესდით მინეევის, როგორც მეთოდისტის საქმიანობით. მწვრთნელებმა შემთხვევა ვერ გაიხსენეს, „რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ საუკეთესო" მეთოდისტს რჩევა-დარიგებები რომ მიეცეს, ან სასწავლო პროცესს დასწრებოდეს, მეცადინეობის ხარისხი გაეანალიზებინოს და ა. შ.

კითხვაზე, თუ რატომ არ ჩანს მისი, როგორც მეთოდისტის როლი მძლეოსნობის სკოლის პრაქტიკულ საქმიანობაში, თავად მინეევმა ასე გვიპასუხა: **„იცით, რა, არიან მეთოდისტები, რომლებიც პრაქტიკულ მეცადინეობას არ ატარებენ და 50 საათის საფასურს ისე, ხელფასის დანამატად იღებენ, მე კი პრაქტიკულ მეცადინეობებს ვატარებ და სხვის მეცადინეობაზე დასასწრებად დრო აღარ მრჩებაო".** კარგად დაუკვირდით მინეევის მსჯელობას: გამოდის, რომ სხვა მეთოდისტები ძირითად საქმეს აკეთებენ და დამატებითი გარჯის გარეშე იღებენ გარკვეულ თანხას, მინეევი კი თურმე მთელი განაკვეთის ხელფასს იღებს გაურჯელად, როგორც დანამატს. ახლა თავად განსაჯეთ, ვინ უფრო ჰქვიანია: მინეევი თუ ის მეთოდისტები, ასეთი რამ რომ ვერ მოუფიქრებიათ? ისე, რაც მართალია, მართალია: როგორც ამბობენ, სკოლის მეთოდისტის დოკუმენტაცია, ის, რაც ქაღალდზე უნდა იყოს — თურმე ჩინებულად ყოფილა მოგვარებული, რათა უცხოს ნაკარი შეაყარონ თვალებში. იმ საბუთებში კი განგებ აღარ ჩავიხედეთ, რადგან ჩვენ საქმის უფრო გვჯერა, ვიდრე ქაღალდისა.

„ლელოს" ბრიგადა.

ზეეფელდის პირველი „ოქრო"

თხილამურები

ზეეფელდი. 19 იანვარი. ავსტრიის ამ საკურორტო ქალაქში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. პირველი ოქროს მედალი გათამაშდა ვაკეთა 30 კილომეტრზე რბოლაში. გაიმარჯვა შვედმა გუნდე სვანმა — 1:18.24,1. ვერცხლის მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა უვე აუნლიმ—1:18.49,1, ბრინჯაოსი — ჰარი კირვესნიემმა (ფინეთი) — 1:19.00,2.

ეს ინფორმაცია აქვე შეგვეძლო დაგვემთავრებინა, ერთი უცნაური გარემოება რომ არა. საბჭოთა მოთხილამურეები, რომლებიც ამ დისტანციაზე მუდამ ფავორიტთა შორის იყვნენ, ამჯერად ათეულშიც ვერ მოხვდნენ. არადა კარგად გვახსოვს ვიაჩესლავ ვედენინის, სერგეი საველიევის და სხვათა გამოსვლები. გვახსოვს მათ მიერ მოპოვებული მედლები ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

რაღა შორს წავიდეთ, ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლოზ ზიმიატოვი, რომელმაც სარაევოში (ბოლო ოლიმპიური თამაშები) ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო სწორედ ამ დისტანციაზე მოიპოვა. ამჯერად ოლიმპიურმა ჩემპიონმა მხოლოდ მე-17 შედეგი აჩვენა. მას ჩამორჩნენ საბჭოთა ნაკრების სხვა წევრები: იური ბურლაკოვი — 23-ე იყო, ვლადიმერ სმირნოვი კი — 24-ე. ჩვენს გუნდში საუკეთესო დრო აჩვენა კიეველმა ალექსანდრე ბატიუკმა — 1:21.12,6, თუმცა ეს შედეგიც მხოლოდ XIV ადგილს შეეფარდება.

სპეციალისტები საბჭოთა მოთხილამურეების ამ წარუმატებლობას ხსნიან იმით, რომ ისინი ჯერ კიდევ კარგად არ არიან დაუფლებული „საციგურაო ნაბიჯს". დაგვიანებული ხომ არ არის ამგვარი განმარტება?

გუშინ მედლების კომპლექტი გაითამაშეს 10 კილომეტრზე მოასპარეზე ქალებმა. დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა ნორვეგიელმა ანეტე ბუმ — 30.54,8. მეორე იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფინელი მარი-ლიისა კირვესნიემი — 30.56,2, მესამე — ნორვეგიელი გრეტა ნიუკელმუ — 30.58,0.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

აწმყო შობილი, წარსულისაგან...

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

1964 წელი — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

1965 წელი — ევროპის ჩემპიონი.

1967 წელი — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

1969 წელი — ევროპის ჩემპიონი.

1971 წელი — ევროპის ჩემპიონი.

1972 წელი — ოლიმპიური ჩემპიონი.

ამ რუბრიკით დაბეჭდილ წერილებსა თუ ნარკვევებს სათაურად, როგორც წესი, სპორტსმენის სახელი და გვარი აქვს. ამჯერად ტრადიციას დავარღვევთ. მიზეზი ერთადერთია— საგაზეთო მასალას, რომელსაც სახელოვანი სპორტსმენის ზურაბ საკანდელიძის ფოტო ახლავს, გაშიფვრა აღარ სჭირდება.

მონატრება



იმ დღეს ერთად უყურებდნენ საქართველოსა და ლენინგრადის გუნდების მატჩის ჩანაწერს. ერთი ცხრა წელიწადია აღარ გასჰკარებია მოედანსა და ბურთს, მეორე ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს. ერთისთვის წარსულში დარჩა სპორტული ცხოვრების სიხარული და დარდი, ბედნიერი წუთები და მძიმე პერიოდები, მეორემ ჯერ კიდევ უნდა განიცადოს და ნახოს, ერთს გამოცდილების ვეება ტვირთი ამძიმებს, მეორე გულუბრყვილო თვალებით შესცქერის ეს-ეს არის აღმოჩენილ სამყაროს. და მაინც ერთად უყურებდნენ მატჩის ჩანაწერს ზურაბ საკანდელიძე და ზურაბ საკანდელიძე...

„ალექსანდრე ბელოვი ამერიკელთა ფარქვეშ პარტნიორს ეძებს ბურთის გადასაცემად. ქულას ვიგებთ, მატჩის დამთავრებამდე კი ათიოდე წამი რჩება. როგორც ჩანს, მიუნჰენში უნდა დაესვას წერტილი ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის საკალათბურთო ოლიმპიურ ჰეგემონიას. ბელოვმა ჩემზე შეაჩერა არჩევანი. კოლინზმა ჩაჭრა პასი და ჩვენი კალათისაკენ დაიძრა. თუ ჩააგდო, ყველაფერი დამთავრებულია, ბურთის გამოტანასაც ვერ მოვასწრებთ — სანამ ბურთს ავიღებთ, სანამ პირით ხაზს იქით გავიტანთ... ამასობაში წამმზომი თავისას იზამს. ყველაფერმა როგორღაც უცბად გამიელვა თავში. კოლინზის შეჩერება საჭირო, ნებისმიერი საშუალებით! ზურგით ვიდექი; შემოვტრიალდი და გამოვეკიდე...“

კაცმა არ იცის, როგორ, მაგრამ ზურაბ საკანდელიძე წამის შემდეგ ამერიკელის წინ აღმოჩნდა და დაგეგმილი პერსონალური შენიშვნაც მიიღო. მერე სპეციალისტებმა ამ ცოტა არ იყოს საეჭვო ჯარიმას „ოქროსი“ უწოდეს. ამერიკელთა იერიში შეჩერდა და, რაც მთავარია, დაიზოგა ის რამდენიმე წამი, ცოტა ხნის შემდეგ ოლიმპიურ გამარჯვებად რომ იქცა.

„კოლინზმა ორჯერვე ზუსტად ტყორცნა და ახლა ამერიკელთა გუნდი დაწინაურდა. ბურთი ედეშკომ გამოიტანა, სერგეი ბელოვმა ცენტრიდან სცადა და ააცდინა. საფინალო სირენა. ამერიკელები გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს, თუმცა, ზოგიერთს მოეჩვენა, რომ დრო ადრე ჩაირთო. გადამწყვეტი თვით „ფიბა“-ს პრეზიდენტის მისტერ ჯონსის აზრი გამოდგა. მსაჯებს მითითება მისცათ, თავიდან გაემეორებინათ ყველაფერი. ამ არეულობაში კონდრაშინმა მოასწრო წუთშესვენების აღება. სწორედ მაშინ მოვილაპარაკეთ, ალექსანდრე ბელოვი მეტოქის ფარქვეშ დალოდებოდა ედეშკოს პასს. კომბინაცია ზუსტად ჩაეტია დარჩენილ სამ წამში...“

ეს იყო 1972 წელს, მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე. ოთხი წლის შემდეგ კი ზურაბ საკანდელიძე დაემშვიდობა დიდ კალათბურთს და საყვარელ გუნდს, სადაც თოთხმეტი წელიწადი იცავდა ქართული სპორტის ღირსებას.

განსაკუთრებული თითქოს არაფერი მომხდარა — ცოტანი გაუცილებიათ დიდი სპორტიდან? მაშინ მართლაც ასე ჩანდა, მაშინ ვერც ვერავინ წარმოიდგენდა და არც შეიძლებოდა გვცოდნოდა, რომ თბილისის „დინამოდან“ მიდიოდა კაცი, რომლის ტოლსა და სწორს დიდხანს, კარგა დიდხანს ველარ იხილავდა კალათბურთის გულშემატკივარი.

დრო ყველასა და ყველაფერს კუთვნილ ადგილსა და წილს მიუზღავს ხოლმე. დრო გულგრილად უვლის გვერდს უმნიშვნელოს და მხოლოდ განსაკუთრებულსა და მნიშვნელოვანს უტოვებს მომავალ თაობებს. ცხრა წელიწადი თავისთავად ბევრი არ არის, მაგრამ სპორტის ისტორიისთვის კარგა გრძელი მანძილია. ამ გრძელ სავალზე ქუთაისის ერთ არასტანდარტულ სპორტულ დარბაზში გაზრდილი კალათბურთელის თამაშმა ნამდვილი ღირებულებაც შეიძინა და ის მოუთმენლობაც შვა, სხვანაირად მონატრება რომ ჰქვია.

ფიბა-ს პრეზიდენტი ჯონსი ქართულ ცეკვებში ხედავდა ზურაბის ნიჭის საიდუმლოს, გომელსკისთვის იგი ყველაზე სწრაფი კალათბურთელი და ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო მცველი იყო... და მაინც, მისი ფასი ყველაზე უკეთ მაყურებელმა იცოდა, რადგან ამ ქვეყანაზე ყველაზე მთავარი, სიყვარული, გაიღო მისთვის...

ყველაფერი კი იმ ერთ პატარა დარბაზში დაიწყო:

„ვარჯიშზე ხშირად დავყვებოდი ჩემს უფროს ძმას. ანზორი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში თამაშობდა. ჩემი მაშინდელი „პროფესია“ ჭიდაობა იყო. კარგად არც მახსოვს, თავისუფალი თუ კლასიკური. ერთხელაც, ჩემი ძმის ერთ-ერთ ვარჯიშზე სულიკო თორთლაძემ ბურთი მომაწოდა, ესროლეო. კალათს საერთოდ ვერ მოვახვედრე. ბიჭებმა სიცილი დაიწყეს. ამ სიცილმა გადაწყვიტა კიდეც. სულიკო თორთლაძესთან ანზორმა მიშუამდგომლა, ტანით პატარა ვიყავი — მეცხრე კლასამდე სულ ბოლოში ვიდექი ფიზკულტურის გაკვეთილზე — მაგრამ მაინც მიმიღო“.

ამბობენ, ძნელი იყო თორთლაძესთან ვარჯიში. დილა იქნებოდა, საღამო თუ შუადღის პაპანაქება, იმასთან ერთად უნდა გერბინა, გეთამაშა. არც თავს ინდობდა და არც სხვას. ძნელი კი არა, ალბათ აუტანელიც იყო, მაგრამ იცოდა მწვრთნელმა, რასაც აკეთებდა: წლების მერეღა, როცა ზურაბმა საქართველოს ნაკრების მაისური ჩაიცვა, როცა ევროპის ხუთგზის ჩემპიონი გახდა, როცა ტამპერეში ევროპის საუკეთესო მცველად აღიარეს, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონადაც რომ აკურთხეს, როცა ქუთაისელი ბიჭი ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნეს დროს ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, მაშინღა მოვიდა ჭეშმარიტი შეგნება იმისა, რა იყო სულიკო თორთლაძე თავისი შეგირდებისა და ქართული კალათბურთისთვის.

„უცნაური ამოჩემება იცოდა. დაადგამდა თვალს თავის რომელიმე მოწაფეს და მერე სიქას გააცლიდა, ვარჯიშის შემდეგ ტოვებდა, ცალკე იბარებდა სავარჯიშოდ. ისე, ამ პოეზიაზე შეყვარებული და მეოცნებე კაცისთვის ერთხელაც არ უღალატია ალღოს — ყველა „ამოჩემებული“ დიდი სპორტსმენი გახდა. სულ რაღაცას ეძებდა, სვანეთი ხელუხლებელი მადანია კალათბურთისთვისო, რამდენიმე წლით აპირებდა იქ წასვლას. აღარ დასცალდა“.

სპორტულ ბაზებსა და, საერთოდ, კალათბურთის დღევანდელ პრობლემებზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, ზურაბმა როგორღაც მოიწყინა. მერე სევდიანად გაეღიმა და: „სპორტული დარბაზები, რა თქმა უნდა, პრობლემაა, მაგრამ იმ დარბაზებში მუშაობაა საჭირო. ქუთაისის ერთადერთი დარბაზი კალათბურთისთვის ვიწროც იყო და მოკლეც. მთავარი ალბათ სხვაა. სულიკო თორთლაძე, მიშა კეკელიძე შესაძლოა არ იყვნენ გენიალური მწვრთნელები, მაგრამ უსაზღვროდ უყვარდათ კალათბურთი, გადაგებული იყვნენ ბავშვებზე. ეს საოცარი და მართლაც იშვიათი ნიჭია“.

სპორტი განუწყვეტლივ ვითარდება — იცვლება წესები, ვარჯიშის მეთოდები, იხვეწება ტაქტიკა. კალათბურთი [illegible] არის. დღეს იგი უფრო სწრაფი და უფრო გააზრებულია, ასე ვთქვათ, სიმაღლეშიც კი გაიზარდა...

„არა მგონია, სიმაღლის პრობლემამ რაიმე ზეგავლენა მოახდინოს თამაშის ხასიათზე, დაჩრდილოს ეგრეთ წოდებულ „ტანმორჩილთა“ თამაში. მოქნილობა, სისწრაფე, აზრი ყოველთვის იყო და დარჩება კიდეც სპორტის საფუძველთა საფუძვლად. ახალი წესები? ექვსმეტრიანი ზონის შემოღებამ უაღრესად გაზარდა მცველთა ფუნქციები. დღეს ტერმინმა „გამთამაშებელი“ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ადრე ამ ამპლუის კალათბურთელს სულაც არ ევალებოდა ქულების მოგროვება. ახლა ერთი და ორი ზუსტი ტყორცნა მთელ მატჩში ერთობ ცოტაა კარგი მცველისთვის. თანამედროვე მცველის ტიპიურ წარმომადგენლად მიმაჩნია ვალტერსი, ენდენი, ხომიჩუსი. მათ მცველს ან გამთამაშებელს ველარც უწოდებ, ამ კალათბურთელებს ყველაფერი ეხერხებათ — გუნდის ტაქტიკის განსაზღვრა, კომბინაციის დაწყება თუ დამთავრება, საჭირო შემთხვევაში ბურთის დაჭერა. თუ ყველაფერი ბუნებრივად გაგრძელდა, სულ მალე მათ გელა დარსაძეც ამოუდგება გვერდში. ზემოთ ნახსენებ კალათბურთელებთან გელას ერთი უპირატესობა აქვს — ოსტატობის ზრდისა და სრულყოფისთვის მისი ახალგაზრდობა საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძველი და წინაპირობაა“.

ცხოვრება, თუნდ მისი ერთი რომელიმე მონაკვეთი, ძნელად, რომ კაცმა მარტომ გაიარო. ვილაც უნდა გყავდეს მეგზურად, სამაგალითოდ, ვილაც უნდა გედგას გვერდით, ის, ვისი ცხოვრების წესი თუ აზრი შენს გულისთქმას დაემთხვევა. ზურაბ საკანდელიძისთვის სპორტული კარიერის გარიჟრაჟზე ასეთი ადამიანი სულიკო თორთლაძე იყო, მერე...

„გურამ მინაშვილი. არ შეიძლებოდა მის გვერდით გეთამაშა და მისი ჭკუისა და გულის თაყვანისმცემელი არ ყოფილიყავი. გურამი იწვოდა მოედანზე და, გინდოდა თუ არ გინდოდა, შეგეძლო თუ არ შეგეძლო, შენც უნდა გამოგელო ხელი. ნაკრებში? ალექსანდრე გომელსკი. მე მას, როგორც კალათბურთის სპეციალისტს, სულაც არ ვაყენებ ვლადიმერ კონდრაშინზე წინ, მაგრამ სპორტსმენებთან და, საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობის მართლაცდა ადამიანური პრინციპები გომელსკის დიდ უპირატესობას ანიჭებს. ნაკრებში ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავები“, ინდივიდუალურად გამოკვეთილი სპორტსმენები ხვდებიან. მათთან მუშაობის მთელი სიძნელე ის არის, თითოეული მათგანის ხასიათი, ხანდახან ჭირვეულობაც კი გაითვალისწინო“.

დრო მიდის და თანდათან მტკიცდება აზრი, რომ განსხვავება სამოყვარულო და პროფესიულ კალათბურთს შორის სულ უფრო ძნელად შესამჩნევი ხდება.

„ეს ტენდენცია ერთობ თვალსაჩინოა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპული კალათბურთის პროგრესი. და საერთოდაც, რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოყვარულთა ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ დაამარცხა პროფესიონალები! ანდა, არ იქნება არვიდას საბონისი ნებისმიერი პროფესიული გუნდის მშვენება?“.

ზურაბ საკანდელიძის გამოცდილებას ერთი ხინჯი მაინც სდევს: ბევრისმნახველ სპორტსმენს არასდროს უნახავს ზურაბ საკანდელიძის თამაში. თუმცა...

* * *

„ხანდახან მეკითხებიან, ამდენი წვალება, შრომა, ენერგია და ნერვიულობა, როგორ იმეტებ შვილს სპორტისთვისო. მშვენივრად ვიცი, რაც მოელის, მაგრამ უწვალებლად და უშრომელადაც რომ ბევრი ვერაფერი ფასი აქვს ცხოვრებას?

იმ დღეს ერთად უყურებდნენ მატჩის ჩანაწერს. შეხედე, კი არ დარბიხარ, დადიხარო, უთხრა უფროსმა. უმცროსი, ეტყობა, დაეთანხმა, რადგან გაჩუმდა. ისხდნენ მამა-შვილი ზურაბ საკანდელიძეები და უცქერდნენ თამაშს, ერთს მეოთხედი საუკუნის მანძილზე რომ ჰყავდა თანამგზავრად, მეორეს კი შესაძლოა ხვალვე ექცეს მომავლის მეგზურად.

ირაკლი ბერიაშვილი.

ფეხბურთი-85

პრიზი — რევაზ ჩელებაძეს

ტაჯიკეთის ახალგაზრდულმა გაზეთმა „კომსომოლეც ტაჯიკისტანმა“ დააწესა ჯილდო I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების საუკეთესო ბომბარდირისთვის. ბათუმის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელი რევაზ ჩელებაძე შარშანდელ სეზონში ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი იყო I ლიგაში, მან 28 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში და ტაჯიკეთის ახალგაზრდული გაზეთის პრიზიც დაისაკუთრა.

გრანატკინის მემორიალზე

ლენინგრადში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (ვ. გრანატკინის მემორიალი). 3 ტურის შემდეგ 5 ქულით ლიდერობს სსრ კავშირის I ნაკრები. 4 ქულა მოაგროვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა, ხოლო 3-3 — საფრანგეთისა და სსრ კავშირის (მე-2) გუნდებმა.

20 იანვარს გაიმართება ბოლოსწინა ტურის მატჩები: გფრ — სსრკ-2, საფრანგეთი — პოლონეთი, სსრკ-1 — ბელგია.

I ლიგის ზონები

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება წლეულს, როგორც ცნობილია, განსხვავებული სისტემით ჩატარდება. აქ ჩამოყალიბებულია 2 ზონა, თითოეული 11-11 გუნდის შემადგენლობით.

დასავლეთი ზონა: ასკ „კარპატი“ (ლვოვი), „ნისტრუ“ (კიშინიოვი), „კოლოსი“ (ნიკოპოლი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „გურია“ (ლანჩხუთი), „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (სტავროპოლი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „კუბანი“ (კრასნოდარი), „დაუგავა“ (რიგა), „კოტაიკი“ (აბოვიანი).

აღმოსავლეთი ზონა: ცსკა, „პახთაქორი“ (ტაშკენტი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „როტორი“ (ვოლგოგრადი), „შინიკი“ (იაროსლავლი), „პამირი“ (დუშანბე), „ისკრა“ (სმოლენსკი), „კუზბასი“ (კემეროვო), ასკ (ხაბაროვსკი), „ზვეზდა“ (ჯიზაკი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი).

* * *

23 ივნისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი, უკვე მეორე დღეს კი დაიწყება თასის შემდგომი, 1986 წლის გათამაშების პირველი შეხვედრები.

* * *

31 ივლისსა და 5 აგვისტოს „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციის მიერ დაწესებული „სეზონის თასის“ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადის „ზენიტი“ (სსრ კავშირის 1984 წლის ჩემპიონი) და მოსკოვის „დინამო“ (თასის მფლობელი).

სსრ კავშირში, როგორც ვიცით, ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს შორის (24 აგვისტო-7 სექტემბერი). ჩემპიონატის მატჩები გაიმართება ჩვენი ქვეყნის 6 ქალაქში, მათ შორის თბილისშიც. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 16 ქვეყნის გუნდი, რომელთაგან 9 უკვე ცნობილია. სსრ კავშირი, უნგრეთი, ბულგარეთი, ირლანდია, ინგლისი, ესპანეთი, შოტლანდია, მექსიკა, კანადა.

ინფორმაცია

ლიგა გააუქმა

სიერა ლეონეს სპორტის მინისტრმა სანი სესაიმ გამოსცა ბრძანება ამ ქვეყანაში საფეხბურთო ლიგის გაუქმების თაობაზე. ასეთი უჩვეულო გადაწყვეტილების მიზეზად მინისტრმა ორი ინციდენტი დაასახელა: ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩის დროს, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ „ბლეკპული“ და „ფიშერიზი“, მაყურებლებმა მსაჯს ქვები დაუშინეს. მანამდე კი, ერთ-ერთი სხვა შეხვედრის შემდეგ, არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გულშემატკივრები მინდორზე გამოცვივდნენ და მსაჯს „ანგარიში გაუსწორეს“.

მზიანი ამინდი დაუდგათ

ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე

ბაკურიანის ტრამპლინი მართლაც კარგად მომზადებული შეხვდა ტრადიციულ ტურნირს, მას პროფილიც კარგი აქვს და სასრიალოდაც საუცხოოა. ჩემი აზრით, იგი არაფრით ჩამოუვარდება ჩვენი ზეეფელდის ტრამპლინს, რომელიც ახლა, როგორც იცით, მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. თქვენთან ბარაქიანად კი მოუთოვია, თუ ამინდმაც შეგვიწყო ხელი...

ᲐᲘ, რა გვითხრა IX საერთაშორისო შეჯიბრების გახსნის წინა დღეს ფის-ის (სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია) ტექნიკურმა დელეგატმა, ავსტრალიელმა ფერდინანდ საუნერმა.

გამოცდილი სპეციალისტის შიში საფუძვლიანი ყოფილა. ასპარეზობის წინა დღეს, ე. წ. ოფიციალური ვარჯიშისას ქარი ამოვარდა და საკმაოდ ციოდა. მიუხედავად ამისა, მოსკოველმა ანდრეი დუნდუკოვმა მესამე ცდაზე 90 მეტრზე იფრინა, თუმცა, დაშვებისას ქარმა წააქცია...

ყოველივე ეს შეჯიბრების წინა დღეს მოხდა. გუშინ კი, ბაკურიანში საზეიმოდ გაიხსნა IX საერთაშორისო ტურნირი.

ლამაზად გამოიყურებოდა 70-მეტრიანი ტრამპლინი და მისი მისადგომები. ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ ჩერქეზიამ მიიღო პარადის კომანდორის, ზამთრის მესამე საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ მიხეილ გავას პატაკი და მიესალმა მონაწილეებს — სსრ კავშირის, ფინეთისა და ბულგარეთის 34 მფრინავ-მოთხილამურეს.

მოასპარეზეებს ამჯერად მზიანი, წყნარი ამინდი დაუდგათ. სახელგანთქმული სპორტსმენების, წინა გათამაშებაში გამარჯვებულ პერმელ ვადიმ ზახაროვთან, ლვოველი ვასილი სავინთან, უძლიერეს მხტომელებთან პერმელ ლეონიდ კომაროვთან, გორკელ სერგეი მუხინთან და სხვებთან ერთად სტარტზე გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: ვალერი იარემოვი, გიორგი დიაკონაშვილი, ელგუჯა ყორომვილი, სერგეი ხუბაევი და გაგიკ ბარბარიანი. 80-მეტრიან ზღვარს პირველმა წინა დღის სენსაციად აღიარებულმა ანდრეი დუნდუკოვმა გადააბიჯა—81,5 მეტრი. ერთი მეტრით ნაკლები იფრინეს ლეონიდ კომაროვმა და სერგეი მუხინმა.

— სტარტზეა მე-8 ტურნირის გამარჯვებული ვადიმ ზახაროვი, № 30 — გამოაცხადა მსაჯმა-ინფორმატორმა.

პერმის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა, 21 წლის ვადიმ ზახაროვმა (მწვრთნელი იური შაროვი) ლამაზი ნახტომით მოხიბლა მრავალრიცხოვანი მაყურებელი. 85 მეტრი — ასეთი იყო შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტის შედეგი. მართალია, მეორე ცდაზე ზახაროვმა მხოლოდ 81,5 მეტრი აჩვენა, მაგრამ ამ დღეს საუკეთესო 206,8 ქულა გამოდგა. დუნდუკოვი 78,5 მეტრზე გადახტა (186,9 ქულა, IV ადგილი), კომაროვი — 82,5 მეტრზე (198,7 ქულა, II ად ლი), მუხინი კი 82 მეტრზე (19 ქულა, III ადგილი). უცხოელ სპ რტსმენთაგან თავი გამოიჩინა ფინ ლმა კიმო კიულმიაახომ, რომელ V ადგილზე გავიდა (185,2 ქულ ნახტომები — 77 და 79,5 მეტრი).

საქართველოს სპორტსმენთაგ საუკეთესო იყო 22 წლის ოსტატ ბის კანდიდატი ელგუჯა ყორო ვილი, რომელიც XVI ადგილზე გ ვიდა (156,9 ქულა. 71 და 76,5 მ ტრი). სპორტის ოსტატი ვალე იარემოვი მას ოდნავ ჩამორჩა — (მე-18 ადგილი. 154,6 ქულა, ნა ტომები 73 და 75 მეტრი).

დღეს მფრინავი მოთხილამურ ები კვლავ 70-მეტრიან ტრამპლინ იასპარეზებენ.

ტელეფონით, „ლელოს" სპ კორ.

ბაკურიანში, მესამედ...

ᲜᲝᲠᲩ ჰოკეისტთა ტრადიციულმა ასპარეზობამ — ალკკ ცენტრალური კომიტეტის „ოქროს შაიბის" კლუბის რესპუბლიკურმა ზონალურმა ტურნირმა სტარტი აიღო. სპორტსაზოგადოება „დინამოს" ყინულის მოედანზე შეიკრიბა ხუთი გუნდი: თბილისის „მზიური", ბაკურიანის „კოხტა", ახალციხის „ჩირაღდანი", ბოგდანოვკის „ფარავანი" და ახალქალაქის „განთიადი". როგორც მოსალოდნელი იყო, სამი ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს მზიურელებმა (მწვრთნელები ნოდარ და ომარ დონაძეები). მათ დიდი ანგარიშით — 10:1 დაამარცხეს „ფარავანი", შემდეგ დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს „კოხტას" (1:0) და ბოლოს ანგარიშით 4:0 მოუგეს „ჩირაღდანს".

გუშინ ასპარეზობის მონაწილეები ისვენებდნენ. ტურნირში (იგი 21 იანვრამდე გასტანს) გამარჯვებული გუნდი მარტის ბოლოს მონაწილეობას მიიღებს „ოქროს შაიბის" კლუბის საკავშირო ტურნირში.

„ლელოს" კორ.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

იერიში დაიწყო, მაგრამ...

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვიუწყებოდით, 18 იანვარს ა. კარპოვმა და გ. კასპაროვმა მატჩის ორმოცდამესამე პარტია ყაიმით დაამთავრეს.

აი, როგორ მოხდა ეს:

ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კe2 e6 7. 0—0 კe7 8. f4 0—0 9. მფh1 ლc7 10. ლe1 b5 11. კf3 კb7 12. e5 მe8 13. f5 de 14. fe კ:f3 15. ef+ ე:f7 16. მ:f3 მd7 17. კg5 კf8 18. a3 მd6 19. მd2 ე:f1+ 20. ლ:f1 ლc6 21. ეe1 ეe8. ყაიმი.

მეტოქეებმა ამ მატჩში მეექვსედ გაითამაშეს სიცილიური დაცვა. ეს დებიუტი დიდად პოპულარულია ჩვენს დროში. მას კარგად იცნობს კასპაროვი, რომელმაც ამ დაცვას ორი წიგნი მიუძღვნა, მაგრამ კარპოვთან ორთაბრძოლაში ჯერჯერობით წარმატებას ვერ მიაღწია.

ამჯერად თავიდან თვითონ კარპოვი ფიქრობდა იერიშზე. მან სწრაფად განავითარა ფიგურები და ლაშქარიც დაძრა შავი მეფის წინააღმდეგ. მისმა მე-13 სვლამ კონკრეტული მუქარა შექმნა, მაგრამ კასპაროვი ღრმად ჩასწვდა პოზიციას და რამდენიმე ფიგურის გაცვლით თავიდან აიცდინა ხიფათი. როგორც კი ცენტრში დაძაბულობა მოიხსნა, თამაში გათანაბრდა და მეტოქენი დაზავდნენ.

კვლავ ლიდერობს ანატოლი კარპოვი — 5:1 (+5—1=37).

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ. ხვალ, 21 იანვარს შედგება ორმოცდამეორთხე პარტია.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 19 იანვარი. საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბან ბერსიში დაიწყო მძლეოსანთა მსოფლიო თამაშები — ამ ტიპის პირველი შეჯიბრება ჭერქვეშ. ასპარეზობაში მონაწილეობს 74 ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ათლეტი. გათამაშდება მედლების 25 კომპლექტი — 11 ქალთა, ხოლო 14 — ვაჟთა შორის.

ტურნირის პირველი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა იტალიელმა ჯულიანა ზალცემ. 3000 მეტრზე რბენაში მის მიერ ნაჩვენები დრო

მძლეოსნები ჭერქვეშ

— 12.53,42 მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგია.

ბირთვის კვრაში (ქალთა შორის) ყველას აჯობა მსოფლიოს რეკორდსმენმა, მოსკოველმა ნატალია ლისოვსკაიამ — 20 მ, 07 სმ, მომდევნო ადგილები დაიკავეს ინეს მიულერმა (გდრ) — 19 მ. 68 სმ და ნუნუ აბაშიძემ (სსრ კავშირი) — 18 მ. 82 სმ.

ქალთა სიგრძეზე ხტომაში პირ ველ ადგილზე გავიდა ჰელგა რა დკე (გდრ) — 6 მ. 88 სმ. მეო რე და მესამე ადგილი საბჭო მძლეოსნებს ხვდათ: კრასნოია სკელ ტატიანა როდიონოვას (პრ ზკურიაკოვა) — 6 მ. 72 სმ და ვ ლნიუსელ ნიოლე მედვედევას — 6 მ. 44 სმ.

შეჯიბრება ორ დღეს გასტან

ოთხი გუნდის მონაწილეობით

ᲤᲝᲠᲚᲘ (იტალია). 8-10 თებერვალს აქ ჩატარდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირი ფრენბურთელ ქალთა გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებაში გამოვლენ: „ტურნგსრამი" (უნგრეთი), „ლოჰოფი" (გფრ), „ოლიმპია" (იტალია) და ადკ (ალმა-ათა, სსრ კავშირი), რომელმაც ორი ნახევარფინალური მატჩი მოუგო ბულგარეთის გუნდს — ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს" (3:0 და 3:1).

ჰოლმსის ბოლო მატჩი

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა, რომ მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის 35 წლის ლარი ჰოლმსი თავის უკანასკნელ მატჩს გამართავს დევიდ ბეისთან (აშშ) და სამუდამოდ დატოვებს რინგს. ჰოლმსმა პროფესიულ რინგზე ჩატარებული 45 მატჩიდან ყველა მოიგო.

კალეიდოსკოპი

სასჯელი ცუდი თამაშისთვის

დასავლეთ გერმანიის ქალაქ შპაიერში მოყვარულ ფეხბურთელთა ლიგის მორიგი კალენდარული მატჩის შემდეგ რომელიღაც მაყურებელი მინდორზე გავარდა და ქოლგით ცემა დაუწყო ერთ-ერთი გუნდის მოთამაშეს. ფეხბურთელმა თავი ვერაფრით დაიცვა, სხვაც ვერავინ მიეშველა და საბოლოოდ საავადმყოფოში ამოყო თავი. გამოჯანმრთელების შემდეგ სპორტსმენმა სასამართლოში უჩივლა „ხულიგანს". წარმოიდგინეთ „თემიდას მსახურთა" გაოგნება, როცა მომჩივანმა მათ მოპასუხის ვინაობაც დაუსახელა: იგი აღმოჩნდა ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივარი, 80 წლის... ქალბატონი. როცა პასუხი მოსთხოვეს, მან ასე გაიმართლა თავი: ეს ფეხბურთელი ისე სამარცხვინოდ თამაშობდა ვეღარ მოვითმინეო.

ლიდერი შეიცვალა

ᲘᲐᲘᲪᲔ (იუგოსლავია) ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში 10 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ირინა ლეკოტინამ. X ტურში მან შტადლერს მოუგო, გადადებული პარტიების დამთავრებისას კი პეტროვიჩს (ორივე — იუგოსლავია) და 8,5 ქულა მოაგროვა.

მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ნანა იოსელიანი, რომელმაც X ტურში ქულა შემატა თავის ნადავლს.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

რედაქტორი ა. გოგელ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების სა ქართველოს რესპუბლიკურ სამმართველო გაცნობებთ, რო სპორტული ლატარიების მო ყვარულთა კონკურსი „სპორ ტლოტო-85" დაიწყო 1985 წლის პირველივე ტირაჟიდან.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲟᲘᲒᲣᲚᲘ".

კონკურსის პირობების თან ხმად, ის, ვინც გამოიცნობს სახეობას „სპორტლოტო 6 49"-დან და 5 სახეობას „სპორტ ლოტო 5 36"-დან, ფულად მოგების გარდა მიიღებს ნაღ ანგარიშზე ავტომანქანა „ჟიგ ულის" ურიგოდ შესაძენ ტა ლონს.

კონკურსში მონაწილეობს მხო ლოდ საქართველოში შეძენილ ბილეთები, რომელთა შევსე ბული „ზვ" ნაწილი ჩაშვებუ ლია რესპუბლიკის ტერიტორი აზე მდებარე „სპორტლოტო უუთებში. ტალონი გაიცემა ტ რაჟიდან 10 დღის შემდეგ ე თი თვის განმავლობაში.

მიიღეთ მონაწილეობა კონ ურსში!

ᲡᲐᲥᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ

მიხოველ ნაკიჩი — საუკეთესო

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს ზაგრების „ციბონას" თავდამსხმელი მიხოველ ნაკიჩი. მეორე ადგილზე გავიდა „ზადარის" თავდამსხმელი ივან სუნარა. მესამე იყო ასევე „ციბონას" გამთამაშებელი ალექსანდრე პეტროვიჩი.

ᲛᲘᲮᲝᲕᲔᲚ ნაკიჩი დაიბადა 1955 წელს. დამთავრებული აქვს ეკონომიური ფაკულტეტი. მისი სიმაღლეა 203 სმ. ამპლუა — თავდამსხმელი. 1972 წელს თამაში დაიწყო „მლადოსტის" შემადგენლობაში, 1973–1976 წლებში თამაშობდა „მონტიგში", ხოლო 1977 წლიდან „ციბონაშია". სწორედ ამ კლუბში მიაღწია მან თავის ყველაზე დიდ წარმატებებს. 1982 და 1984 წელს გახდა იუგოსლავიის ჩემპიონი. ოთხჯერ 1980, 1981, 1982 და 1983 წლებში იყო იუგოსლავიის თასის მფლობელი. 1982 წელს დაეუფლა თასის მფლობელთა თასს. ნაკიჩი არის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის 1979 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის 1974 წლის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის.

სხვადასხვა დროს იუგოსლავიის საუკეთესო კალათბურთელები იყვნენ: დრაჟენ დალიპაგიჩი (1976, 1977, 1982), დრაგან კიჩანოვიჩი (1978, 1979, 1981), კრეშიმირ ჩოსიჩი (1974, 1975), დამირ შოლმანი (1973), მირზა დელიბაშიჩი (1980), დრაჟენ პეტროვიჩი (1973).

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა მირკო ნოვოსელმა 1984 წლის იუგოსლავიის ნაკრების საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა ძველი გვარდიის წარმომადგენელი გამოცდილი დრაჟენ დალიპაგიჩი, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს დრაჟენ და ალექსანდრე პეტროვიჩებმა. საგულისხმოა, რომ ნაკიჩმა აქ მხოლოდ მე-5–7 ადგილები გაიყო გამოცდილ რატკო რადოვანოვიჩთან და ანდრო კნეგოსთან ერთად.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი
ინდექსია
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფს ტური წესით საგაზეთო კორპუსში ხიმარაელის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უმ 0600